საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ აღფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	14	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული ოვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	71	100

სახელი, გვარი: ტრისტან ბენაშვილი

თარიღი : 27.06.2025წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ზენაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციას და 2025 წლის 5 ივნისს კანდიდატ თამარ ალფაიძესთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონაცემებით, კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2849 კვ.მ. ვანის რაიონის სოფელი

ფერეთა; მიწის ნაკვეთი 563 კვ.მ. ოეთრიწყარო, სოფელი ამლიევი (უნივერსიტეტის აგარაკები)/ორბეთი (სისტემური რეგისტრაციის მიმდინარე პროცესი). უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არის რეგისტრირებული; (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონაცემებზე დაყრდნობით, სტატუსი შეჩერებულია, თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, სტატუსი აქტიურია).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ათი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, თამარ ალფაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რვა ფაქტი, დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის პიროვნულ კეთილსინდისიერებას, შრომისმოყვარეობას, პროფესიისადმი ერთგულებას ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ერთ შემთხვევაში უჭირთ შეფასების გაკეთება.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს ჰქონდა ძლიერი ემოციური ფონი, თუმცა იყო კორექტული. არსებული მონაცემებისა და დასასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შეგნებული აქვს პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ იგი თავის საქმიანობას ახორციელებს მიუკერძოებლად და სამართლიანად.

თამარ ალფაიძე არ ყოფილა/არ არის არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. კანდიდატი 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი

მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი 2018 წლის 11 მაისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილია დაზარალებულად. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ თამარ ალფაიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში არსებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში, კერძოდ: მოსარჩელე - სს ბანკი რესპუბლიკა, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი - ხელშეკრულების შეწყვეტა; ფულადი ვალდებულების შესრულება, საქმე N2/7166-11; თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.05.2012 წლის განჩინებით სარჩელი დატოვებულია განუხილველად; მოსარჩელე - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი - ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად აღმოცენებული ფულადი თანხის დაკისრება; საქმე N2/10052-12; თბილისის საქალაქო სასამართლოს 31.08.2012 წლის განჩინებით სარჩელი დატოვებულია განუხილველად.

გამოკითხული რეკომენდატორები გამორჩეულად აღნიშნავენ მის კულტურას, კეთილშობილებას, ტაქტიანობას და ა.შ.. კანდიდატს აფასებენ, როგორც გაწონასწორებულ და მშვიდ პიროვნებას. რაც შეეხება რესპოდენტებს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში უჭირთ კანდიდატის შეფასება.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავაზიანი ადამიანია.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორების, მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება დადებითი რეპუტაციით.

გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად უთითებს მისი საკმაოდ თავისუფალი აზროვნების, ადამიანებისადმი იმითავითვე დადებითად განწყობის სტილს. რეკომენდატორი აქვე აღნიშნავს, რომ

აღნიშნული არის თუ არა სისუსტე/ნაკლოვანება - თავად რეკომენდაციის წამკითხველმა განსაჯოს.

თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების ანალიზსა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას</u>.

აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თამარ ალფაიძემ ვერ შეძლო წარმოეჩინა საკუთარი ცოდნა, ვერ გაართვა თავი საჯარო მოსმენის ეტაპზე დასმულ სამართლებრივი შეკითხვების უმეტესობას. მან პასუხი გასცა მხოლოდ ერთ შეკითხვას, ისიც არასრულყოფილად, რომელიც, შეეხებოდა სიცოცხლის უფლებას, კანდიდატმა ვერ ისაუბრა ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვებზე, მათ შორის სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, მართლმსაჯულების განხორციელებისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლსა და საქმის განხილვის სპეციფიკაზე, სისხლის სამართალში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე და ა.შ.. ამასთან, კანდიდატს ჰქონდა ძლიერი ემოციური ფონი, უჭირდა ემოციების მართვა.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის ნაშრომები დასაბუთებული, სამართლებრივად გამართულია.

საბოლოოდ მიმაჩნია, რომ კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ვერ წარმოაჩინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი საკითხების სათანადო ცოდნა.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.

თამარ ალფაიძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატს შეუძლია საკითხის სწორი ანალიზი და მართებული გადაწყვეტილების მიღება.

თამარ ალფაიძემ საჯარო მოსმენის ეტაპზე ვერ შეძლო ძირითად საკითხზე კონცენტრირება, უჭირდა ემოციების მართვა. თუმცა, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის ნაშრომები თანმიმდევრულია, ჩანს მსჯელობა და განხილული მასალის საფუძველზე კანდიდატის ლოგიკური აზროვნების უნრი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა თითქმის ვერცერთ ზოგად და კონკრეტულ სამართლებრივ სფეროში დასმულ შეკითხვებზე ვერ გასცა ზუსტი და არგუმენტირებული პასუხები.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივ საკითხზე მსჯელობა, აზრის გასაგებად გადმოცემა. ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, თამარ ალფაიძეს შეუძლია ლოგიკური ანალიზის გაკეთება, სხვისი, მათ შორის განსხვავებული აზრის აუღელვებლად მოსმენა.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს, თუმცა, როგორც თავად განმარტა, შეცდომის დაშვების შიშით, უჭირდა დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა. კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, თუმცა აზრს გადმოსცემს უმეტეს შემთხვევაში არათანმიმდევრულად, გასაუბრებისას თვალსაჩინო იყო მღელვარების ნიშნები.

4. პროფესიული თვისებები - მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა და მედია საშუალებებში, მასთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

გამოკითხული რეკომენდატორები თამარ ალფაიძეს ახასიათებენ დამოუკიდებელი

აზროვნების მქონე, თავდაჯერებულ და კომპეტენტურ პიროვნებად. რაც შეეხება თ რესპოდენტებს, ერთი მათგანი კანდიდატს დადებითად, ხოლო მეორე - მინიმალურად ახასიათებს კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით.
თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების და გამოკითხული რესპოდენტების ინფორმაციის საფუძველზე მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე შეუსაბამოა მოსამართლის თანამდებობისთვის.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები</u>.

თამარ ალფაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამუშაო შეხვედრასა და სემინარში (JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2014 წელი; International Human Rights - University de Catolique 2014 წელი; Leaders of Learning - Harvard University 2014 წელი; ტრენინგი - The center for global communication studies at the annenberg school for communication, university of pensilvania, 2012 წელი; ტრენინგი - teaching ict pollicy skills, 2012 წელი; ტრენინგი - training on media regulations, 2011 წელი; AI Regulation A Micro Course for Lawyers, Neiron ACADEMY, 2021 წელი). ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში, არის სამართლის დოქტორი. ამასთანავე, არის რამოდენიმე სტატიისა და ნაშრომის ავტორი.

გამოკითხული რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატი მუდმივად ზრუნავს სამართლებრივი ცოდნის განვითარებაზე, მიღებულ ცოდნას კი ნაყოფიერად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

6. პროფესიული აქტივობა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის</u>

მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.

თამარ ალფაიძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სხვადასხვა უნივერსიტეტში, პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. გამოკითხული რეკომენდატორები მას ახასიათებენ, როგორც თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 71 ქულას.

თარიღი : 27.06.2025წ.

ხელმოწერა: